ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

XIII 2021

ქუთაისის ეპოპეა
კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობაში

Kutaisi epic
in the work of Kote Marjanishvili

მარიამ მარჯანიშვილი
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
საქართველო, ქუთაისი

Mariam Marjanishvili
Kutaisi State Historical Museum
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

Prominent Georgian director Kote Marjanishvili was born in Kvareli. It is true that he was the son of Alexander Marjanishvili, an Aznauri from Kutaisi, but in his biography, he always considered Kakheti as his native place. However, Kutaisi, as the basis of the Marjanishvili family, played a decisive role in his creative activity.

He performed for the first time on the Georgian stage in front of the Kutaisi audience under the direction of his cousin, Kote Meskhi, and he also continued to master his stage work.

Kote Marjanishvili also found his fortune in Kutaisi and he married a Russian boy, Nadezhda Zhivokina, completely young.

After 25 years of service in Russia, on September 25, 1922, Kote Marjanishvili returned to Georgia to pay his debt to his homeland and headed the Georgian Theater, where he established the Rustaveli Theater with the best forces of art.

In 1928 he founded the Second Georgian State Theater in Kutaisi in a similar way. Under Marjanishvili's leadership, 27 plays were staged at the Kutaisi Theater, 19 of which belonged to contemporary authors.

Kote Marjanishvili closed the 1928-1929 season on the Kutaisi stage with an „evening". The troupe was first taken to Tbilisi, then to Ukraine and Moscow, which was the first large-scale tour of the Georgian theater outside the republic.

The tours of the Kutaisi Theater were so important in the history of the Georgian theater that after the tour, a book was published in which all the important documents and materials were placed. Kutaisi theatrical team showed 16 performances during the tour, which was a great triumph.

საკვანძო სიტყვები: ქუთაისი, კოტე მარჯანიშვილი, ქართული თეატრი.

Keywords: Kutaisi, Kote Marjanishvili, Georgian Theater.

ოდითგანვე კახეთი თავდადებულ მამულიშვილებს უზრდიდა სამშობლოს.

ახალი ისტორიის ეპოქაში ყვარელში დაირწა აკვანი ორი დიდი საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მესაიდუმლის – ილია ჭავჭავაძისა და სცენის დიდი ოსტატის – კოტე მარჯანიშვილის.

ვახსენებთ თუ არა მარჯანიშვილებს, ეს გვარი მაშინვე საქართველოს ულამაზეს კუთხესთან – კახეთთან ასოცირდება, მაშინ როცა მარჯანიშვილები წარმოშობით იმერლები არიან. და ეს გვარიც კახეთში ერთი ლამაზი წყვილის სიყვარულმა დაამკვიდრა.

ქუთაისელი მაიორის ანდრია მარჯანიშვილის უფროსი ვაჟი ალექსანდრე მარჯანიშვილი, როგორც სამხედრო ინჟინერი, ლეკიანობის დროს კახეთში გაამწესეს.

იგი იმერეთის პოლიციას ჩამოჰყვა ყვარელში. ლურჯთვალება ოფიცერი ალექსანდრე მარჯანიშვილი დიდი ვაჟკაცი და ანწუხის გმირი იყო. მისი ნაწილი სოფელ ყვარელში იდგა და სწორედ აქ გაიცნო მან თავად სოლომონ ჭავჭავაძის ასული ელისაბედი.

ეს ის ლიზაა, ილია ჭავჭავაძე რომ ეტრფოდა ყმაწვილკაცობისას და სიყვარულის ნიშნად მისი უკვდავი სტრიქონები – „გახსოვს, ტურფავ...“ – ლექსად შეკონილი უძღვნა.

მდიდარმა მემამულემ და მდივანბეგმა სოლომონ ჭავჭავაძემ ასულის ხელის თხოვნაზე მოხდენილ იმერელ აზნაურს ალექსანდრე მარჯანიშვილს თანხმობა იმ პირობით მისცა, თუ იგი ზედსიძედ ჭავჭავაძიანთ ფუძეზე დარჩებოდა... და, აი ასე გაჩნდა მარჯანიშვილის გვარი ყვარელში“ (მარჯანიშვილი 2010: 98).

ალექსანდრე მარჯანიშვილი განათლებული პიროვნება იყო, ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე, წერდა ლექსებს, გატაცებული იყო მთარგმნელობითი საქმიანობით.

საერთოდ, ყვარელში მარჯანიშვილის ოჯახში იკრიბებოდა საუკეთესო წიგნიერი ელიტა, გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე მაჩაბელი, დიმიტრი ყიფიანი, მისი დისშვილები: პოეტი დომინიკა ერისთავი, ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორი ანდრია ღულაძე, ნესტორ, კოტე და ეფემია მესხები.

ცხადია, ამ წრემ უდიდესი როლი ითამაშა კოტე მარჯანიშვილის აღზრდაში.

ელისაბედ ჭავჭავაძისა და ალექსანდრე მარჯანიშვილის ოჯახში ყვარელში 1872 წლის 9 ივნისს მერვე შვილად და პირველ ვაჟიშვილად კოტე მარჯანიშვილი მოევლინა.

იგი თავის ბიოგრაფიას ყოველთვის ასე იწყებდა: „მე დავიბადე ყვარელში, მდინარე დურუჯის პირას, სადაც ამაყად დგას ხან იისფერი, ზოგჯერ ფორთოხლის ან მუქი მწვანე ფერით შეღებილი მთები. აი, კუდი -გორაც, ჭავჭავაძემ რომ გაგვაცნო. მთებს შორის მოჩანს ციხე-ნეკრესის ქალაქისა“ (მარჯანიშვილი 1948: 187).

მიუხედავად თავისი გენეალოგიისა, რომლის მიხედვითაც მარჯანიშვილთა ფუძედ სოფელი მაღლაკი მოიაზრებოდა, კოტე მარჯანიშვილი თავს მაინც კახელად თვლიდა.

ეს უბრალოდ გვარის გენეალოგიისათვის, თორემ კოტე მარჯანიშვილის დიდებასა და სახელს იგი არაფერს აკლებს და მატებს, რადგან გენიოსებისა და ტალანტების შემოქმედება მუდამ უსაზღვრო და მსოფლიო კუთვნილებაა.

კოტე მარჯანიშვილი ბავშვობიდანვე საბავშვო სათამაშოების დრამატიზმით ყველას აცვიფრებდა: „ერთხელ კოტეს ხევსურული სათამაშო მოუტანეს, რომელიც გახვრეტილ ფიცარზე დამაგრებულ ორ თოჯინას წარმოადგენდა. მასზე გაყრილი ძაფით იგი აცეკვებდა თოჯინებს, რითაც ფანდურის აკომპანიმენტით ნამდვილ მოცეკვავეთა შთაბეჭდილებას ახდენდა,“ – იგონებდა მისი უმცროსი ძმა ვლადიმერ მარჯანიშვილი.

სცენისმოყვარეობა პატარა კოტემ ყვარელში დაიწყო, რომელშიც მონაწილეობდნენ მისი დები და ძმა, ასევე ადგილობრივი მასწავლებლები და ნათესავები.

პირველი პიესა გახლდათ „საფოსტო სადგური“, რომელიც ოჯახში გამართა. მისი მაყურებელი გახლდათ ადგილობრივი მემამულეები და გლეხობა. წარმოდგენა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რაზედაც გლეხებმა შენიშვნა მისცეს: სანახავად კარგია, მაგრამ ე რუსული ენა რომ არ გვესმის, ესაა უბედურებაო...“ (მარჯანიშვილი 2013: 11).

მალე კოტე მარჯანიშვილმა ქართული წარმოდგენებიც გამართა ოჯახში: „ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწილდნენ“, „პრიკასშჩიკი შკაფში“ და „კაკო ყაჩაღი“.

ქართულმა წარმოდგენებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ყვარლის გლეხობაზე. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული შთაბეჭდილება „კაკო ყაჩაღმა“ გამოიწვია, რადგან დიდი ილიას თავისი პოემა სწორედ ყვარლის მიდამოებში ჰქონდა გაშლილი და კუდიგორა „ზემოდან დაჰყურებდა ამ სოფელს“.

ყურადსაღებია კოტე მარჯანიშვილის მოგონება, სადაც იგი აღნიშნავდა: „ჩვენი მაყურებელნი იყვნენ პატივსაცემი კახელი გლეხები. რა აზრისანი იყვნენ ისინი ჩემი წარმოდგენების შესახებ, არ ვიცი... მხოლოდ ის მახსოვს, გემრიელად შეექცეოდნენ გომიჯს, ვაშლს, ჩურჩხელებს და სხვა საჭმელ-სასმელს, რითაც უხვად ვუმასპინძლდებოდი მათ, რადგან „ჩემი წმინდა მსახურება“ მიმდინარეობდა ვეებერთელა მარანში, რომელსაც ჩვენს სახლში ქვედა სართული ეჭირა. ნაბრძანები მქონდა მოეხადათ ერთ-ერთი ქვევრი და გვერდზე ხელადა დაედგათ. ხელადის რამდენჯერმე შემოვლის

შემდეგ, დიდის გატაცებით მიწვევდნენ სცენაზე... მალე მთელ მახლობელ სოფლებში გავითქვი სახელი. ბოლოს სამაზრო ქალაქ თელავამდე მიაღწია ჩემმა სახელმა...

ერთხელ თელავის თეატრის ანტრეპრენიორმა აჯიმამუდოვმა მთხოვა მონაწილეობა მიმეღო რომელიღაც პიესაში. მე დავეთანხმე და, მიუხედავად იმისა, რომ გიმნაზიელის ხალათი მეცვა, ამაყად ვატარებდი გასტროლიორის სახელს.

რეპეტიციაზე დასასწრებად მე არ მეზარებოდა 36 ვერსის ცხენით გავლა ყვარლიდან თელავამდე და იქიდან ყოველ ღამე სოფელში დაბრუნება. დადგა წარმოდგენის დღე. ჩემთვის საჭირო იყო ფრაკი... მთელი ქალაქი მოვიარეთ, მაგრამ არავის არ აღმოაჩნდა იგი. მე ანტრეპრენიორს განვუცხადე, რომ თუ ფრაკი არ მექნებოდა, ვერ ვითამაშებდი.

დაქანცული და გაოფლიანებული აჯიმამუდოვი ხელახლა გაიქცა ფრაკის საშოვნელად. თეატრთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი... გარს მეხვეოდა თაყვანისმცემელ ქალიშვილთა მთელი გუნდი... აჯიმამიდოვმა ფრაკი ვერ იშოვა, მაგრამ მუნდირი მომიტანა... მე ცივად გადავხედე, მერე ქალიშვილებს „ჰამლეტისებურად“ შევავლე თვალი და წკეპლის ტყლაშუნით წარმოვთქვი: ეს ფრაკი არ არის, და მე არ ვითამაშებ...“

ქალების სახეზე აღფრთოვანება ამოვიკითხე, აჯიმამუდოვი დაბნეული შემომცქეროდა... მერე გაისმა ტყლაშუნი, ლოყაზე ტკივილი ვიგრძენი... მან მე მცემა, მცემა...

ჩუმად შევიპარე ძალუაჩემის სახლში. არავის არ დავემშვიდობე, შევკაზმე ცხენი და ბნელ ღამეში სოფლისაკენ გამოვეშურე“, – ასე იწყება კოტე მარჯანიშვილის მოგონებათა წიგნის პირველი ფურცლები.

...– და, ეს იყო ბედისწერის დასასრულის დასაწყისი (მარჯანიშვილი 2010: 99-100).

ასე დაამთავრა კახეთის დიდ სცენაზე თავისი პირველი ნაბიჯები კოტე მარჯანიშვილმა.

სამაგიეროდ, თავის ძირძველ კუთხეში აკურთხა კოტე მარჯანიშვილი დიდი ხელოვნების მომავალ რაინდად მისმა პირველმა რეჟისორმა, სისხლითა და გენით ნათესავმა კოტე მესხმა: „ნიჭს გაუფრთხილდი... ყველას უჩვენე ვინ არის კოტე მარჯანიშვილი!“...

გაფრთხილება, რწმენა, შთაგონება წინასწარმეტყველური გამოდგა. კოტე მესხს უყვარდა ტალანტების აღმოჩენა“ (მარჯანიშვილი 2010: 101).

ცნობილი მსახიობი ეფემია მესხი თავის მოგონებაში აღნიშნავდა: ,,თბილისში შევხვდი ახალგაზრდა 21-22 წლის კოტე მარჯანიშვილს. ამ ხნის განმავლობაში მას თითქმის ყველანი შემოეცალნენ. დედა გარდაეცვალა. ორი უფროსი დაც. ერთი მონაზვნად აღიკვეცა. ერთი გათხოვდა. უმცროსი ძმა ვლადიმერი მეზღვაურად წავიდა. ასე რომ, ეხლა მარტო იყო გამგე და პატრონი თავისი მამულისა.

...ჩემმა ძმამ კოტემ ურჩია მას წამოსულიყო ჩვენთან ქუთაისში და იქ დაეწყო მუშაობა.

კოტეს ძალიან გაუხარდა ეს წინადადება და სიტყვა მოგვცა, რომ ორ კვირაში ის ქუთაისში ჩამოვიდოდა... მართლაც ორ კვირასაც არ გაუვლია, რომ კოტე მარჯანიშვილი მოვიდა ჩვენთან ქუთაისში. ჩემმა ძმამ კოტემ მას დაუწყო მზადება დებიუტისათვის.

მახსოვს, როგორ ღელავდა ის ამ დროს, როგორ ვამხნევებდით ჩვენ. ამბობდა: „თუ შევრცხვი და ცუდად ვითამაშე, იმავე ღამეს გავწევ თბილისში, რომ არავის დავენახოო... კოტემ ჩინებულად ჩაატარა თავისი პატარა როლი. თითქმის მთელი სეზონი გაატარა მან ჩვენს დასში. გათამამდა, გაეწაფა. ძალიან ლამაზი იყო, თაყვანისმცემლები მრავალი ჰყავდა და ეს ამხნევებდა ახალგაზრდა მსახიობს.

ქუთაისში კოტე მარჯანიშვილის სასცენო მოღვაწეობის პირველ ნაბიჯებზე საინტერესო მოგონებას გვაწვდის ნუცა ჩხეიძე: „ეს იყო 1894 წლის 30 იანვარს. ა. დიუმას „ცოდვის შვილში“ ვთამაშობ ისევ პატარა ქალს, ადას. მახსოვს ერთი მიზან-სცენა, ეფემია მესხს ვყავდი გულში ჩაკრული და რაღაცას ვუამბობდი. ერთი ფრაზა შემეშალა, იქვე სცენაზე წაულაპარაკე, ვაიმე, ასე არ უნდა მეთქვა-მეთქი. და იქვე გავასწორე. ფეფიკომ და სცენაზე მყოფმა კოტე მარჯანიშვილმა ძლივს შეიკავეს სიცილი... ეს პიესა უფრო იმიტომ მოვიგონე, რომ სხვათა შორის, მაშინ პირველად ითამაშა კოტე მარჯანიშვილმა. ის ახლო ნათესავი იყო კოტე მესხისა, ბიძაშვილები და მოგვარე ნათესავები ქუთაისში ჰყავდა, ჩამოვიდა მათთან ქუთაისში და პირველად აქ დაიწყო მუშაობა, როგორც მსახიობმა. ძალიან მოხდენილი ახალგაზრდა იყო“ (მარჯანიშვილი 2010: 101).

ამავე წლის 12 ოქტომბერს დასი სუნდუკიანის „პეპოს“ ამზადებდა, რომელშიც კოტე მარჯანიშვილი „კ. ყვარელის“ ფსევდონიმით იყო გამოცხადებული.

გენერალური რეპეტიციის შემდეგ შენობაში ცეცხლი გაჩნდა და 15-20 წუთში თეატრი სრულიად განადგურდა. ეს იყო უბედურება ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში (მესხი 1959: 15).

სცენური ნათლობის გარდა, სწორედ ქუთაისში იპოვა კოტე მარჯანიშვილმა თავისი პირველი სიყვარულიც: „ქუთაისში მოსკოვიდან ჩამოვიდა რუსული დასი ჩინებული შემადგენლობით. ამ დასში იყო ახალგაზრდა მსახიობი ქალი ჟივოკინა ნადეჟდა დიმიტრის ასული, შვილიშვილი თავის დროზე სახელოვანი კომიკის ჟივოკინის. ძალიან ლამაზი მსახიობი. კოტე მარჯანიშვილს შეუყვარდა ეს ქალი და გადაწყვიტა მისი ცოლად შერთვა. აღარავის რჩევას ყური არ უგდო, ხანი აღარ დააყოვნეს, იმათ დაიწერეს ჯვარი თბილისში და როდესაც ეს დასი წავიდა, ჩვენი კოტე ჩაეწერა მათთან მსახიობად და თან გაჰყვა ახალგაზრდა ცოლს“ (მესხი 1940: 27).

25 წლის მანძილზე კოტე მარჯანიშვილმა რუსეთში, უკრაინასა და რიგაში მრავალი თეატრალური კოლექტივი გამოიარა და დააარსა. 25 წლის მანძილზე ღრმად და ყოველმხრივ შეიცნო ცხოვრება, ადამიანები,

სხვა ხალხების კულტურა, გაიცნო მთელი მსოფლიოს ხელოვნება, თავისი ძალები გამოსცადა სხვადასხვა თეატრალურ დასებთამ.

ამბობენ, რომ ხელოვანი უკეთესად, სრულად და უფრო ღრმად მხოლოდ თავის ხალხთან კავშირის საფუძველზე, მშობლიურ ნიადაგზე, მშობლიური მიწის სურნელთან ერთად შეიცნობა. მარჯანიშვილი სულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ერთი დიდი ვალი გადაუხდელი დარჩა – ვალი სამშობლოს წინაშე. ამის შეგრძნებამ და ახლის შექმნის წყურვილმა ჩამოიყვანა იგი 1922 წლის 6 სექტემბერს საქართველოში.

თუკი გულწრფელად აღიარებენ, ბევრ მაშინდელ თეატრის მომუშავეს არ ესმოდა ყოველივე ის, რაც თეატრში ხდებოდა. „მე შემდგომში, მარჯანიშვილთან მუშაობის დროს ბევრჯერ შემიმჩნევია, როდესაც რაიმეს აკეთებდა, მისი მუშაობა ბევრისათვის რჩებოდა სრულიად გაუგებარ და მიუწვდომელ საიდუმლოებად“, – წერდა თამარ ვახვახიშვილი.

რუსთაველის სახელობის თეატრში სულიერების დამკვიდრებისათვის იბრძოდა კოტე მარჯანიშვილი: „...მე არ ვამბობ, რომ ხელოვანი არ ცდება, მაგრამ ხელოვნებაში ყველაზე საშინელი და საძაგელი შეცდომა სიმართლის დამახინჯებაა. ეს ყოვლად დაუშვებელია... და ისევე, როგორც უნამუსობის ლაქას, მას ვერაფრით ვერ წაშლი, ვერც ჭკუით, ვერც ნიჭით, ვერც ვაჟკაცობით... ადვილია, როცა არ სტყუი, და ძნელია, როცა თამაშობ ცრუობ“, – ასეთი იყო თეატრის უდიდესი რეფორმატორის კრედო.

საქართველოში მარჯანიშვილი მალე ძმათა გაუტანლობის მსხვერპლი გახდა, რაც მუდამ ყველა დიდი ადამიანის ხვედრია. 1926 წლის 4 ივლისს რეჟისორმა თეატრი დატოვა.

მარჯანიშვილისა და საზოგადოების სურვილით ქუთაისში მეორე სახელმწიფო თეატრი შეიქმნა. მან ქუთაისში ჩამოსვლისთანავე დასს მიმართა: „იცით, როცა ოჯახი შედუღაბებულია, ქვას გახეთქავს. თეატრი კი იგივე დიდი ოჯახია და საკმარისია ერთმა რომელიმე წევრმა უღალატოს, რომ დაინგრეს. ჩემი ერთადერთი პირობაა დისციპლინა, ერთსულოვნება და ენთუზიაზმი“...

იყო რაღაც სიმბოლური იმაში, რომ მრავალი წლის წინ კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა ამ შესანიშნავი თეატრალური ტრადიციების ქალაქში, ქუთაისში, მარჯანიშვილთა ბუდეში დაიწყო. აქ მიიღო მან პირველი „ნათლობა“ და ქართული თეატრის კორიფეს კოტე მესხის ლოცვა-კურთხევა. ხეტიალის, ძიებისა და შემოქმედების მრავალი წლის მანძილზე სანთელივით ატარა მარჯანიშვილმა ეს ლოცვა-კურთხევა. და აი, ის კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს. წინ კი ფართო გზა ელოდა, ისევ ძიებები, მშფოთვარე შემოქმედება და განუწყვეტელი მოძრაობა.

ოცდაცამეტი წლის შემდეგ ქუთაისში ახალი თეატრი კვლავ ანდრია მარჯანიშვილის შთამომავალმა დააარსა. ხელოვნების სამყაროში მარჯანიშვილის პირმშო დაიბადა და დამკვიდრდა ქუთაისში.

„ახალგაზრდობის დასით 1928 წლის 7 აგვისტოს კოტე მარჯანიშვილი უკვე ქუთაისში იყო. მისმა სახელმა კიდევ ერთხელ ააჯანყა ქართული თეატრალური აზროვნება. მისი სიცოცხლით სავსე თვალებში გამოკრთოდა დაუშრეტელი ენერგია და უტეხი ნებისყოფა. „მე ისეთ ჩიხში, როგორიც ქუთაისია, დიდი ხანია აღარ მიმუშავია, მაგრამ თუ თქვენ ყოჩაღად იქნებით, ერთგულად იმუშავებთ, გაძლევთ სიტყვას, რომ ყველგან წამოვალ თქვენთან, თუ გინდ სოფელშიაც.

საქმის შექმნა შეიძლება ყველგან, ნამდვილი საქმის, დიდი საქმის, ოღონდ, ყმაწვილებო, ერთსულოვნება იყოს!“ – ასე მიმართა ახალგაზრდა კოლექტივს დიდმა რეჟისორმა.

დასმა სეზონისათვის მზადება დაიწყო. პირველ სპექტაკლად „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ წარმოადგინა. თეატრი ხარაზიშვილისეულ ძველ შენობაში დაბინავდა, რომელიც საფუძვლიანად შეკეთდა. ახალგაზრდულმა თეატრალურმა კოლექტივმა პირველ სპექტაკლის დადგმისთანავე მიაღწია გამარჯვებას, სადაც ნათლად გამოიკვეთა, რომ თეატრს სიცოცხლე ეწერა და მის წინ ფართო გზა გადაიშალა.

„დასრულდა სპექტაკლი. ოვაციებს ბოლო არ უჩანს. ქუთაისის თეატრის პატარა შენობა, ხალხით გაჭედილი, – ჰქუხს და ბობოქრობს. ხალხს დარბაზიდან გასვლა აღარ უნდა. მრავალჯერ გამოიძახეს კოტე მარჯანიშვილი და სპექტაკლის მონაწილენი სცენაზე. ეს ოვაციები და აღტაცება მერე ქუჩაში გადმოიღვარა.

ხალხით სავსე ქუჩა ახალი სიხარულით შეხვდა თავის საყვარელ, საამაყო შვილს კოტე მარჯანიშვილს“, – აღნიშნავდა პრესა.

ქუთაისში მარჯანიშვილმა უმთავრესად თანამედროვე დრამატურგიაზე გაამახვილა ყურადღება. იგი შეეცადა ამ კოლექტივში განეხორციელებინა ის, რაც რუსთაველის სახელობის თეატრში ვერ მოასწრო.

მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ქუთაისის თეატრში დაიდგა 27 პიესა, აქედან 19 თანამედროვე ავტორს ეკუთვნოდა. თეატრის პირველი შეხვედრა თანამედროვე თემასთან იყო შალვა დადიანის კომედია „კაკალ გულში“, რომლის პრემიერა 1928 წლის 15 დეკემბერს შედგა. თეატრმა კომედიური სპექტაკლები პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერზე“ მუშაობით განაგრძო და იგი 1929 წლის 27 მარტს წარმოადგინა. ამას მოჰყვა პიესები „როგორ“ და „ხატიჯე“.

ქუთაისის თეატრის სცენაზე შედგა პრემიერა დია ჩიანელის პიესაზე „ბაილი“ და დემნა შენგელაიას „თეთრები“.

ასევე ბრწყინვალე წარმოდგენები იყო შოუს კომედია „წმინდა ქალწული“, ლოპე დე ვეგას დრამა „ცხვრის წყარო“ და კირშონის დრამა „ლიანდაგი გუგუნებს“.

კოტე მარჯანიშვილის ნიჭისა და ტალანტის აპოგეა, მისი სცენური შედევრი ქუთაისის თეატრში „ურიელ აკოსტა“ გახლდათ.

მართლაც, ფასდაუდებელია სპექტაკლ „ურიელ აკოსტას“ მნიშვნელობა როგორც მარჯანიშვილის შემოქმედებაში, ისევე მთელი ქართული თეატრის ცხოვრებაში.

მარჯანიშვილმა შექმნა სპექტაკლი დემაგოგიისა და უსამართლობის სამყაროსთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული ადამიანის მაღალი პრინციპების გამარჯვებაზე, უკუღმართობასა და ვაჟკაცობაზე. ეს იყო სიმართლისათვის შეწირულთა ჰიმნი. 1928-1929 წლების სეზონი კოტე მარჯანიშვილმა „საღამოთი დახურა“.

დასი თბილისში გაემგზავრა. აუარებელი ხალხი დახვდა თეატრს სადგურზე... გასტროლები თვენახევარს გაგრძელდა. ყველა წარმოდგენაზე ოპერის თეატრის უზარმაზარი დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი და წარმოდგენები დაუსრულებელი ოვაციებით მთავრდებოდა. უკანასკნელ წარმოდგენაზე ნაჩვენები იყო ცალკეული მოქმედებები დადგმებიდან. დარბაზში ქუხდა ოვაციები და შეძახილები: „გაუმარჯოს კოტე მარჯანიშვილს! გაუმარჯოს თეატრს!“...

ხალხი, მოწინავე ინტელიგენცია მოითხოვდა მარჯანიშვილის თბილისში დაბრუნებას ახალ კოლექტივთან ერთად. მარჯანიშვილმა თეატრი საგასტროლოდ უკრაინასა და მოსკოვში წაიყვანა. ეს იყო ქართული თეატრის პირველი დიდი მასშტაბის გასვლა რესპუბლიკის გარეთ და იგი წილად ხვდა თეატრალურ კოლექტივს, რომელიც ქუთაისში ჩაისახა.

ორი სეზონის განმავლობაში თეატრის არსებობა ქუთაისში იყო კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი ცხოვრების დიდი აპოგეა, სადაც მან შექმნა მსახიობთა მთელი პლეადა, რომელშიც გააერთიანა განსხვავებული ინდივიდუალობის, ჟანრის, ტემპერამენტის მსახიობები მარჯანიშვილისეული მხატვრული პრინციპით ამაღლებული ფორმების, მაღალი რომანტიკის, უკომპრომისო სიმართლისა და მოქალაქეობრიობის თეატრის პრინციპით.

თეატრის გასტროლების დამთავრების შემდეგ საგანგებოდ გამოიცა წიგნი. გასტროლების შემდეგ დიდი რეჟისორი თბილისში გადმოიყვანეს დასთან ერთად.

1931-1932 წლებში კოტე მარჯანიშვილი ავადმყოფობის მიუხედავად მოსკოვში მუშაობდა ოსტროვსკის „ქარიშხალზე“, თბილისში კი – შექსპირის დრამატურგიაზე, ახმოვანებდა „ოტელოსა“ და „რიჩარდ მესამეს“.

ეს ზღვასავით დაუდეგარი, შემართული და ყალყზე შემდგარი სასცენო ხელოვნების გენია 61 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„სულელური სიტყვაა სიკვდილი, სიკვდილი არ არსებობს. ის, რასაც დატოვებ შენს შემდეგ, ერთგვარი გამარჯვებაა იმაზე, რასაც ეწოდება სიკვდილი“.

მისი გარდაცვალებიდან ზუსტად ორი კვირის თავზე, 1933 წლის 30 აპრილს, საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრს კოტე მარჯანიშვილის სახელი მიაკუთვნეს. 1964 წელს კოტე მარჯანიშვილის ნეშტი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბაღიდან

მთაწმინდაზე გადაასვენეს, სიცოცხლეში იმ ეკლიან გზაზე მავალ ქართველ მოღვაწეთა გვერდით, რომელთა დაუძლეველი ბედისწერა თავისუფლება და თავგანწირული სულისკვეთება იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

მარჯანიშვილი 1948: მარჯანიშვილი კ., კოტე მარჯანიშვილის საიუბილეო კრებული. თბილისი, 1948.
მარჯანიშვილი 2010: მარჯანიშვილი მ., მარჯანიშვილთა და მესხთა ხომლი. თბილისი, 2010.
მესხი 1940: მესხი დ., მოგონებები. თბილისი, 1940.
მესხი 1959: მესხი ს., წერილები თეატრის შესახებ. თბილისი, 1959.